ლოგინი

რედაქცია
ტფილისი, ხელოვანთა სახლი, ლერგეგ-ვის ქ. № 13. ტელ. 17—51.

ფასი თვით 500 ათასი მანეთი
განცხადების ფასი: პირველ გვერდზე ნოემბარელით: ორასი ათასი მ.; ტექ-ტის შემდეგ: ასი ათასი მ.

კვირა.
მაისის 13.
1923.

ფასი 50.000 მ.

№ 34. სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველ კვირეული გაზეთი № 34.

ტკბილი ურმა

ულიერ მთების, უძირო ტბაში ტყის დედოფალი სტუბრობდა—ტანაყრილი, ნატიფი, თვალგაშრი.

ის იყო ჯადოსმპყრობელი: ვინც მოეწონებოდა, მოჰხიბლავდა, მონად გაიხდიდა, დაატყვევებდა და შემდეგ გულს ამოაცლიდა. მისი სრა-სასახლე მოუდიოი იყო ადამიანთა გულებით.

ერთხელ ტბის პირას ნებიერობდა დედოფალი და თავისი ჯადოთი ცდილობდა მზის დატყვევებას.

შეელიეთ გამოტეა თმახუჭუჭა ურმა, დასტაცა ხელი ჯადოს და სწრაფად გამოტრიალდა. მშვენიერი დედოფალი გომბეშოთ გადაქცა და დიდ ლოდს ამოეფარა.

დადის მას აქეთ თმახუჭუჭა ურმა და თავისი ჯადოთი ყველასა ჰხიბლავს, ატყვევებს, იმონებს.

ვინ არის ეს ურმა?

ჩვენი ვანო სარაჯიშვილი.

რა არის ეს ჯადო?

მისი მომხიბლავი ხმა.

ჩვენ ვამაყობთ ვანო სარაჯიშვილით მარტო იმიტომ კი არა, რომ ის ხმის ჯადოსანია,—

იმიტომ კიდეე, რომ ის ჩვენია, ჩვენი სისხლი და ხორცი, რომ მასში ქართველი ერის მზიური ნიჭი სჩქეფს.

ვანო სარაჯიშვილი ქართული ბელოდიის აეთარნილია:

„მიმღერის ხმასა ტკბილსა“.

ი ზ ი ა ი თ ი ს ი ტ კ ბ ო ხ ბ ი ს ა, ი ზ ი ა ი თ ი [illegible] ნაზე და მეტის მეტად მგრძნობიარე.

„მისსა ხმასა თანა ხმაცა
ბუღბულისსა ჰგავნდის ბუსა“.

თიელისმანი ხმა, რომელსაც შეუძლია დასვედანებული სულის გადახალისება და გულის ჭუზნათა შეცვლა ყვავილებთან,—თიელისმანი ხმა, რომელსაც შეუძლია მოღერებული მახვილის ჩაბრუნება და გამოროტებული გულის დარბილება, დამშვიდება და მოთვინიერება,—აი ვანო სარაჯიშვილი.

მისი ხმა ზღვის აბობოქრებულ ტალღებს მიაყუჩებს, ქარიშხალს დაიწყნარებს და მინდვრად აბიბინებულ მოლს აზვირთებულ ზღვის ტალღებად გადაქცევს.

დედამიწას დაგავიწყებიებს მისი ყოველდღიური სახრუნავითა და ცისაკენ გაგაქანებს, მეორე წამს ცხოვრების სიღრმეში ჩაგახედებს და საკაცობრიო სევდის სიტკბოებით შეგბოქავს.

უდარდელ ადამიანს ფიქრთა ზღვაში ჩასძირავს და დარდით შეპყრობილს იმედის სხივებით მოუქარგავს სულს, მისი მომხიბლავი ხმა ცხოვრებას ეუბნეს ალლის და ყოველივე სპეტაკს, კეთილშობილს აღვივებს.

— რა ლამაზი, რა მშვენიერია სიცოცხლე. ჰკანკალებენ თქვენი გულის სიმები,— როდესაც ვანო სარაჯიშვილს უსმენთ; გიყვართ ყოველივე, ურიგდებით თვით მოსისხლე მტერსაც კი და ამავე დროს აღარც სიკვდილისა გეშინიათ.

უნაზეს გრძნობათა გაღვიძება, უწმიდეს ზრახვათა წამოშლა, უკეთილშობილეს მისწრაფებათა აგიზგიზება და უსაზღვრო ოცნების აღძვრა,—რა ადვილად ეხერხება ყოველივე ვანო სარაჯიშვილს!

„რა ესმოდის მღერა ყმისა,
სმენად მხეცნი მიეიდიან;
მისსე ყმისა სიტკბოსაგან
წყლით ქვანიცა გამოსხდიან“.

და ამ თხუთმეტი წლის მანძილზე ქართველი საზოგადოება და არა ქართველი მოდის და მოდის, რომ მოესმინოს, განიკურნოს, დასტკბეს და გაჰკვირდეს.

ვანო სარაჯიშვილიც თავისი ჯადოსნური ხმით ყველასა ჰხიბლავს, ყველას იმონებს, ყველას ატყვევებს ამ თხუთმეტი წლის გზაზე.

რაკი ერთხელ მოჰკრავთ ყურს, განდათ, სულ გესმოდესთ, სულ, სულ ეს ტკბილი, ეს მთელი სხეულის მომღერელი, მთელი სულის გაოდაბნელი, ფიქრთა აშშლელი და გონმნობათა დამშაქვრელი ხმა.

ვანო სარაჯიშვილის ხმა უწმიდესი ლოცვაა ქართულ საკურთხეველზე საკაცობრიო მშვენიერებისადმი შეწირული.

ვანო სარაჯიშვილის ხმა მოიხიბლავ ზღაპარია, ზღაპარი ქართველი ერის სასახელოდ, ქართველი ერის სადიდებლად, ქართველი ერის სანუგეშოდ და ასამაღლებლად მოვლენილი.

ვანო სარაჯიშვილის ხმა ქართველი ერის ბუნებაა—სინაზით დაფერილი, სევდით დატვირთული, იმედით გაპეტაკებული და რწმენით გაქანებული.

ვანო სარაჯიშვილმა მშობელი ერის ბედს შეუერთა თვისი ბედი და თხუთმეტი წლის განმავლობაში საარაკო ხმებით ჰფანტავს იმის უბედობას და ნეტარების სხივებით უფსოს საბედნიერო გვირგვინს. ვაშა ჩვენს ვანოს!

ივ. გომართელი.

ვანო სარაჯიშვილი

ვანო სარაჯიშვილი

ვანო სარაჯიშვილი ბედნიერია, რადგან მისგან მხოლოდ ტკბილი ჰანგები დაამახსოვრდება საქართველოს.

სიმღერით, ცეკვით და მუსიკით ადიდეთ თქვენ თქვენი ღმერთი, გვაწყვეთ ზარატუსტრა. ბედნიერია ის, ვინც სიმღერით ადიდებს თავის ღმერთს.

ბედნიერია ის ადამიანი, რომელიც მთელი არსებით ტრანსცენდენტალ სამყაროში ცხოვრობს, რომელსაც სინამდვილის შეხება არა სპირია არც კალმით, არც ყალმით, არც ჩაქუჩით, რადგან სინამდვილე ყოველ დიდ ხელოვანს სძულს.

ამ მხრით შომღერალს ყოველი დარგის ხელოვანი შურით შეჰყურებს. მომღერალი პარ-ფენნინა რომანტიკოსად რჩება მაშინაც, როცა რომანტიკა შორეულ დროის ზღაპრადაა გადაქცეული. არასოდეს სინამდვილეს ისეთი მკაცრი გამომტყვეელება და აღნაგობა არ მიუღია, როგორც ჩვენს საუკუნეში. არც ერთ ეპოქაში ისეთი მძაფრი არტახები არ შემოჭდობია ადამიანის სულს, როგორც დღეს. მიტომაც ეგზომ გვიყვარს ჩვენ ეს მარად შეყვარებული ბაბუკი—სარაჯიშვილი.

ქართული მუსიკალური კულტურის აღორძინება ვანო სარაჯიშვილიდან დაიწყო. აბეხალომ და ეთერის პირველი დადგმა ნამდვილი ეპიფანიების დღესასწაულია იყო ქართული მუსიკისათვის. ამ ეპიფანიების პირველი ქურუმი—ვანო სარაჯიშვილია. ისტორიულად ქართული სული ცალმხრივად გამოცხადდა: ლეკმში, ქანდაკებაში, მხატვრობაში და ხუროთ მოძღვრებაში. მეოცე საუკუნის ბეჭედთან ქართული მუსიკისა და სიმღერის კოლემბებმაც მოაღწიეს. ჯერაც თვალგადუწვდენელია ქართველი ერის მუსიკალური გენი. ცხადია: ქართული გენი აქაც ძლიერად მოიქნევს. სარაჯიშვილი ამ გენის უდიდესი მახარობელია, მისი პირგამადრული ჭეროლდი.

საქართველოს სარაჯიშვილამდის მომღერალი არა ყოფილა. წარსულში მას მრავალი მოზარე ჰყავდა, რადგან ძალოვანი გრიგალები ჰქროდენ ჩვენს თავზე.

მიტომაც მუდამ მოსთქვამდენ ქართველი პოეტები: გურამიშვილი და ბარათაშვილი, ილია და აკაკი, ვაჟა და კ. მაყაშვილი; ამიტომაც ქართული პოეზია ეს იყო მტირალი თვალი საქართველოსი. საქართველოს აკლდა დიდი მომღერალი და ვანო სარაჯიშვილი მოვიდა საქართველოში, როგორც ჭაბუკი ლოჰენგრინი ოცნებასავით თეთრი გედისგან გატაცებული.

არავის ეგონა, რომ საქართველო ისევე დიდია და მაღალი თავის სიმღერაში და სიხარულში, როგორიც თავის გლოვასა და მწუხარებაში.

ეს არავინ იცოდა, ვიდრე ვანო სარაჯიშვილი თავის აბრეშუმის ხმით არ გვიღერებდა იმ საქართველოზე, რომელიც არასოდეს არ ყოფილა, რომელიც მერმისში უნდა იქნეს.— გახარებულ საქართველოზე.

ჩვენ თაობის უსახელესი პპროლია: ქართული სულის რენესანსი. ამ ახალ საქართველოს ტკბილად მოღუღუნე ტრისტანი, ქართული რენესანსის პირგამადრული იოჰანე მახარობელია—ვანო სარაჯიშვილი.

კონსტანტინე გამსახურდია.

ვანო სარაჯიშვილი

(მოკლე ბიოგრაფიული ცნობები)

ვანო სარაჯიშვილის მამას თორმეტი შვილი ჰყავდა. ვანო მეათთორმეტთაგანია მისი მამის პეტრე სარაჯიშვილის ოჯახში. ეს პეტრე სარაჯიშვილი ინჟენერი-ტეხნოლოგი ყოფილა. ხოლო საქართველოში იმის დროს, წარსულ საუკუნის ე. ი. მეოთხმოცე წლებში საინჟენერო ხელოვნება ისეთ დონეზე მდგარა, რომ პეტრე სარაჯიშვილი იძულებული გამხდარა—თავისი საინჟენერო დიპლომი სიღნაღის ნოტარიუსის პატენტზე გაეცვალა.

ამრიგად, სიღნაღის ნოტარიუსის პეტრე სარაჯიშვილისა და მისი მეუღლის ეფემია რუსიე-ყორჩიბაშვილის ასულის ოჯახში 1880 წლის მაისის 1-ს დაიბადა ჩვენი მომღერალი. რაღა თქმა უნდა, იმ დროს მისი სიმღერა ისე დამატკბობელი არ იქნებოდა, როგორც შემდეგში აღმოჩნდა.

ვანოს უკვე ექვსის წლიდან დაფწყია მღერა—დისკანტით (კრინი). შვიდის წლისა მიუბარებიათ სათავად-აზნაურო გიმნაზიაში. შუადღისათანავე მოსწავლეთა ხოროში ჩაურიცხავთ. მეორე კლასიდან ხოროს ჰლოტაბარობდა. ამავე დროს ვიოლონჩელზე დაკვრას სწავლობდა თავისი ბიძაშვილის, კარგად ცნობილი ვიოლონჩელისტის ივანე სარაჯიშვილის ხელმძღვანელობით. 16—17 წლისა იგი გიმნაზიას სტოვებს და ტფილისის სამუსიკო სასწავლებელში შედის ვიოლონჩელზე დაკვრის შესწავლის განსაგრძობად. ივანე სარაჯიშვილის გარდაცვალების შემდეგ ვანო მასწავლებელი ფეხინსკის ხელში გადადის. სამუსიკო სასწავლებელში ორი წელი დაჰყო. ჯარში გაწვევის მოახლოვების გამო იგი მოხალისედ შედის ერთ-ერთ პოლკში.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ვანო სარაჯიშვილის მახლობელნი და ამხანაგები, უცხონიკ-კი, „ურჩევენ მას—სიმღერის შესწავლას სერიოზულად მოჰკიდოს ხელი, რადგანაც ყველა შესანიშნავ ხმას ამჩნევს. მაგრამ ოჯახის ხელმოკლეობის გამო იგი ვერ ახერხებს ამ რჩევის სისრულეში მოყვანას. ბოლოს გადასწყვეტს სამოქალაქო სამსახურში შესვლას და ჯამაგრით თავის რჩენას და თანაც სიმღერაში ვარჯიშობას.

ამისთვის ის პოლკიდანგამოდის და თხოვნა შეაქეს ტფილისის ხაზინაში სამსახურში მიღების შესახებ. საქმე, რასაკვირველია, ბრკოლდება, რადგანაც იმ დროის რუსიფიკატორულ ვაკხინანალიაში ქართველისათვის სახელმწიფო დაწესებულებაში ადგილის შოვნა მეტად გაძნელებული იყო. ამავე დროს ვანო სანერო კავსაძის ხოროში ჰგალობს და ძალიან ხშირად თოფულეკაში მიეკალებულის გასვენება უხდება.

იმ ხანში ხაზინის პალატის უფროსად იყო ვინმე მიხაილოვი, კაცი გაათლებული და ქართველი საზოგადოებისადმი, ცოტათ თუ ბევრად, ადამიანურად განწყობილი. ამასთანავე იგი საკმაოდ მოქეიფე იყო და სიმღერის მოყვარული.

ერთხელ თურმე სახაზინო პალატის უწყების რიმელიღაც თეალსაჩინო მოხელეს სადილს უმართავდენ. ამ სადილს მიხაილოვიც უნდა დასწრებოდა. ხაზინის ერთმა მოხელემ, დიმ. ბახუტაშვილმა, რომელიც ვანოს თასლიმს უწევედა და სამსახურში მიღებინებას სცდილობდა, ვანო წაიყვანა სადილად იმ იმედით, რომ მიხაილოვი მოსმენს ვანოს სიმღერას, მოეწონება და, შეიძლება, სამსახურშიაც დანიშნოსო. ბახუტაშვილის განზრახვა ჯამართლდა მოულოდნელის გამარჯვებით. მიხაილოვი ისე მოიხიბლა თურმე ვანოს ხმითა და სიმღერით, რომ ხაზინის მაგივრად, სახაზინო პალატაში მიიღო, მერე ისეთ ადგილზე, რომ საკმე სულ ცოტა ჰქონებოდა და ჯამაგირიც კარგი. მიხაილოვისავე დახმარებით ქართულ-კახეთის თავად-აზნაურობამ ვანოს სტიპენდია დაუნიშნა და, ამრიგად, იგი 1903 წ. პეტერბურგს გაემგზავრა სიმღერის შესასწავლად. შემდეგში, უკვე პეტერბურგში მყოფს, ვანოს სტიპენდია დაუნიშნა ავგერეთვე ცნობილმა მეცენატმა დავით სარაჯიშვილმა.

პეტერბურგში ვანომ სწავლა დაიწყო რუსეთის შესანიშნავ მომღერალ (ბარიტონი) პრიანიშნიკოვთან. ამ პროფესორთან მოსწავლედ შესვლა მეტის-მეტად ძნელი საქმე იყო, რადგანაც აუარებელი მოწაფენი თურმე ჰყავდა. ბოლოს, როგორც იყო, გავლენიან პირთა დახმარებით, პრიანიშნიკოვი დათანხმდა—ხმოლოდ მოესმინა ვანოს ხმა—სათანადო შეფასებისათვის; მოწაფედ მიღებაზე-კი გადაჭარილი უარი განაცხადა. ხოლო, როცა ვანომ კავატინა უმღერა „ფაუსტიდან“,—პროფესორი ისეთ აღტაცებას მიეცა, რომ არამც თუ მიიღო იგი მოწაფედ, სასაღდელზედაც უარი განაცხადა. პრიანიშნიკოვისაგან ვანო ცნობილ პროფესორ ქ-ნ პანაევა-კარაცეკასთან გადავიდა. ორის წლის სწავლების შემდეგ ქ-მა პანაევა-კარაცევამ 1906 წ. გაზაფხულის სეზონში მოუხერხა ვანოს დებიუტი იტალიურ ოპერაში, სადაც მღეროდენ შესანიშნავი მომღერალნი: ქ-ნი ვაიდა-კოროლევიჩ, ბარიტონი ტიტა-რუფა და სხვ. პირველსავე გამოსვლაზე ალფრედის როლში („ტრავიატა“) ვანო ისე მოეწონა საზოგადოებას, რომ სრული თანამზიარე გახდა გამარჯვების ქ-ნ ვაიდა-კოროლევიჩთან ერთად.

იმავე 1906 წ. შემოდგომის სეზონში ვანო ტფილისის სახაზინო ოპერაში იქნა გასტროლებზე მიწვეული. იმღერა ალფრედისა, ჰერცოგისა („რიგოლეტო“), ფაუსტისა და ლენსკის („ევგენი ონეგინ“). თეატრი ყოველთვის გაჭედილი იყო და ოვაციები და ტრიუმფი უმჭვერვალესამდე აღწევედა.

იმავე 1906 წ. ვანო სარაჯიშვილი გაემგზავრა იტალიას (მილანში) სიმღერის ულარის სრულყოფამდე განსავითარებლად. იქ იგი იმდენად სისტემატიურად როდი სწავლობდა რომელსმე პროფესორთან, რამდენადაც ისმენდა დიდებულ ქურუმთ ვოკალური ხელოვნებისას.

სხვათა შორის, მილანში ვანო გაეცნო იქ საგასტროლოდ მყოფ ზალიაპინს, რომელსაც ვანოს ხმა თურმე ისე მოწონდა, რომ წინადადება მისცა—პარიზს გაჰყოლოდა მუხორგსკის ოპერა „ბორის გოდუნოვ“-ის წარმოდგენაში მონაწილეობისათვის. მაგრამ ვანო, ზალიაპინის თაოსნობით, ლა-სკალის თეატრში გამოცდის შემდეგ, პარმაში იქნა მიწვეული პირველ ტენორად. პარმიდან ტრიესტში გაიწვიეს, მაგრამ ამ დროს პეტერბურგის ანტრეპრენიორის გვიდის წარმომადგენელი დიუმა პეტერბურგისათვის დასს აგროვებდა მილანში. სხვათა შორის, ამ დასში მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნი ოლიმპია ბარონატ, ანსელმი, ჯირალდონი და სხვ. ვანოც მიიწვია. ეს იყო 1909 წ.

პეტერბურგში წასვლამდე ვანო სამშობლოში დაბრუნდა და სახაზინო თეატრში გასტროლებზე იქნა მიწვეული. ამ სეზონში, გარდა ზემოდ ჩამოთვლილ პარტიებისა, მან იმღერა ნადირის („მარგალიტის მაძიებელნი“) და ვილჰელმ მაისტერის („მინიონ“) პარტიები. რაღა თქმა უნდა, მეტი ოსტატობა, მეტი სცენიური გამოცდილება ხელს უწყობდა წინანდელ ტემპერამენტს და ამრიგობაზე იგი უკვე დამოკიდებულ არტისტად ჩითვლებოდა.

ტფილისისა და პეტერბურგის შემდეგ ვანო მღეროდა საზაფხულოდ კისლოვოდსკში, ბერე ლიბინთონ,—ვანო ფალიაშვილის ანტრეპრენიორობით;—მერე კვლავ ტფილისში, პეტერბურგში და ბაკოში.

1918 წლიდან მუდმივად ტფილისში იმყოფება და ხშირი სტუმარია საქართველოს პროვინციისა.

ვანო სარაჯიშვილი

პირველი ქართველი ვოკალისტი, საქართველოს „ბელ-კანტი“,—აი ვინ არის ვანო სარაჯიშვილი.

ქართულ მუსიკალურ ხელოვნებას დიდი ისტორია არა აქვს. ჩვენი საოპერო ლიტერატურა ეხლა ისახება.

ქართული ოპერა და ვანო სარაჯიშვილი ცალკე თემა იქნება მომავალი ისტორიკოსისათვის.

ვანო სარაჯიშვილი პირველია ჩვენში, რომელმაც სრული მუსიკალური განათლება მიიღო და ეზიარა დიდ ვოკალურ კულტურას. ბუნებამ მას მისცა იშვიათი ხმა: მშვენიერი ტენორი მაღალ კეთილშობლიურ ტემბრით. აღსავსე მოდულაციებით და იმ მუსიკალურ კასკადით, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ ჩვენს მზიურ ქვეყანაში.

ვანო სარაჯიშვილი დაფასდება დიდი მაშტაბით. იგია მომღერალი დიდი რანგის, რომელშიც მოცემულია საქართველოს დიდი პოტენციალ.

სრული ოცი წელიწადია რაც ვ. სარაჯიშვილი მღერის. ეს ოპერის მსახიობისთვის და განსაკუთრებით კი ტენორისთვის მეტად დიდი მანძილია. იშვიათად თუ ვინმეს მიუწევია ამ ხანამდის. მაგრამ ვ. სარაჯიშვილის ხმა გამძლე ყოფილა.

ვ. სარაჯიშვილის პროგრესი დიდი იყო. თვალი გადაავლეთ მის სცენიურ კარიერას. პირველ ხანებში იგი გვხმიღებდა თავისი ლირიზმით, მაგრამ ბოლოს ეს ლირიზმი გადაიტანა დრამატიზმში და სრული გამარჯვებით დაადგერგვინა თავისი ბრწყინვალე გამოსვლა დრამატიულ ტენორის პარტიებში. ვ. სარაჯიშვილმა გაავლო სულ ახალი ხაზები. იგი იკიდა ახალ საფეხურებზე და საბოლოოდ დამკვიდრა სახელი: დიდი ვოკალისტის. რაულის, („ჰუგენოტებში“) გერმანის, („პიკის დამა“) დონ-ბოზეს, („კარმენ“) და რადამესის („აიდა“) პარტიებში გამოსვლით სარაჯიშვილი ტრიუმფალურად დაიდაფნა. მომღერალმა ამ დრამატიულ ტენორის პარტიებში იმ მხატვრულ სიმაღლემდის მიაღწია, რომ ბევრისთვის ეს გასაკვირველიც დარჩა და ვ. სარაჯიშვილის ნიჭი დაიჯერეს იმ ცრუ თეატრალებმაც, რომელნიც ერთ დროს ცდილობდნენ მისი სახელის წაშლას.

ნამდვილი ესტეტი და მუსიკოსი ვ. სარაჯიშვილს გიახსენებს აღტაცებით. სიამოვნებით ან სიხარულით მოიგონებს ვანო სარაჯიშვილის პირველ გამოსვლებს და იმ ოვაციებს, რომელიც წოლად ხედა მომღერალს. ტფილისის თეატრალებს ეხსომებათ ვ. სარაჯიშვილის გასტროლები ტფილისში. ეხსომებათ „ევგენი ონეგინი“ და მისი გამოსვლა ლენსკის პარტიაში. დუელის სცენა. რომანტიზმი. ჩრდილოეთის მელანქოლია და ჩაკოვსკის მინორი გადმოცემული იყო ისეთი ვირტუზობით, რომელსაც შესძლებდა ხმოლოდ დიდი ხელოვანი. აქ იყო იშვიათი მუსიკალობა, ცხელი ფრაზიობა, პოეტური გატაცება და დიდი ტემპერამენტი.

ვ. სარაჯიშვილი მარტო ვოკალისტი არ არის. იგი ნამდვილი არტისტიც არის და იცის სცენიური შეგზნება. მომღერალმა მოგვცა დაუვიწყარი შტრიხები. იგი ნამდვილი პოეტია მუსიკალურ მეტყველებაში. მისი მუსიკალური განცდა ნაზია და ფაქიზი, გრძნობა-მომრეკი. მისი ლამაზი ტენორი სავსეა ალერსით და იმ შეგზნებით, რომელსაც ეუწოდებენ: ნიუანსებს, ზოპენის ნოკტიურნებით რომ არიან მიბნედილები.

ჩვენ გვინახავს ბევრი კარგი მომღერალი, მაგრამ უმრავლესობა ჩვენთვის დარჩენილა როგორც დიდი ოსტატი ვოკალურ კულტურის, გამბარჯვება ტეხნიკის, თეატრალური მიხეზეკა.

ვ. სარაჯიშვილში კი ჩვენ ვხედავთ უფრო მეტ ღირსებას. ვ. სარაჯიშვილს აქვს ტეხნიკაც. აქვს ეოკალური კულტურაც. მაგრამ მასში საინტერესოდ არის განსახიერებული მეორე მხარე არტისტიულობის! სულიერი განცდა და დიდი ნებისყოფა. ნამდვილი სცენური ნერვი. აქ ჩვენ ყოველთვის ვხედავთ უფრო მხატვრულ გამარჯვებას და ვანო სარაჯიშვილიც დარჩება ჩვენში როგორც დიდი მხატვარი.

ვანო სარაჯიშვილის ნამდვილი ქართველი მომღერალია. ის კარგა გრძნობს ქართულ ჰანგს, ქართულ მუსიკას და შეუდარებელიც არის მის გადმოცემაში.

აბესალომი, შოთა—ეს დიდი მიხწევადა ქართულ მუსიკალურ ხელოვნებისთვის.

ვანო სარაჯიშვილის იუბილეი—არის იუბილეი ქართული ოპერის.

ვახტანგ გარრიკი.

ვ ა ნ ო ს

ქართული ხელოვნების ძველ ნანგრევებზე ხელ ახლად შენდება დიდებული ტაძარი. აღსანიშნავია ამ ტაძარზე ხუროთმოძღვარ დ. არაყიშვილის მიერ ამოყვანილი თაღი, რომლის დასაწყისია იქ, საიდანაც მზე ამოდის და დასასრული იქ, სადაც მზე ჩადის, და აღსანიშნავია აგრეთვე ამ ტაძარზე ხუროთმოძღვარ ზ. ფალიაშვილის უმშვენიერესი და უდიდესი გუბათი, რომელიდანაც მოსჩანს საქართველოს ყოველი კუთხე.

რა დიდებულია, რა ნატიფია ის ქვაკუთხედიც, რომელსაც უპირავს მთელი სიმძიმე ამ შენობისა:

ვანო სარაჯიშვილი!

გამოიცალეთ აწ თაღს: შოთა—სარაჯიშვილი, გუმაათს: აბესალომ—სარაჯიშვილი და ნათელი გახდება ამ ქვაკუთხედის მთელი მნიშვნელობა...

ჩემი სალამი ჩვენი მუსიკის ნათელ სვეტს—ვანოს.

ლადო ხვიმონიშვილი.

პ ო ე ზ ი ი ს დ ღ ი ს თ ვ ი ს

როდესაც პირუტყვმა პირველად მოაშორა თვალი პობიერ მიწას, როდესაც პირუტყვმა პირველად ასწია თავი მაღლა და ახილო ცის შშვენება, როდესაც ამ შშვენებამ პირველად აგრძნობინა მას ბუნდოვანი სიამე, —პირუტყვში პირველად ჩაისახა **ადამიანი.**

როდესაც ადამიანმა უკლო პობიერი მიწის ჩიჩქნასა, როდესაც ადამიანმა იწყო გულადმა ზარმაცად გდება და ცის უსაზღვროების ქვრეტა, როდესაც ადამიანი მთლად დათვრა გარეშო ბუნების მშვენებით და პირველად მოეს ტრა ზღაპარი, — ადამიანში ჩაისახა **ლვთაება.**

ზღაპარი არის იგივე პოეზია—ხელოვნება.

ბუნება, სინამდვილე, რეალობა არ არის სრულყოფა.

ბუნება არის მხოლოდ დიდებული ზამკდენი სრულყოფისკენ.

პოეზია არის გაგრძელება სინამდვილისა.

პოეზია ლეთაებრივი სულის ვაუმაძღრობაა.

ზღაპარი არის, რაც არ არის სინამდვილეში.

ზღაპარი არის უფრო მეტი სინამდვილე, ვიდრე თვით სინამდვილე.

სიყვარული არის სიცოცხლის პოეზია.

პოეზია არის ცხოვრების სიყვარული. ორთავე ერთნაირი საწნეკვი.

უსიყვარულოდ სიცოცხლე ტლანქი სექსუალობაა.

უპოეზოოდ ცხოვრება ტლანქი ყოფაარსებობაა.

პოეზია არის სიბრძნეთა სიბრძნე.

პოეზია არის გვირგვინი შემოქმედებისა.

სიცოცხლის უზენაესი გამართლება არის შშვენებით სიმთვრალე. სიცოცხლე მხოლოდ სიმთვრალეშია. პოეზია არის საუკუნეთა ხავს-მოკიდებული ქვეყრის ღვინო.

ვინა ჰქმნის პოეზიას? —პოეტი, გვაქვს მარტივი პასუხი, მაგრამ ეს პასუხი არ არის დამაკმაყოფილებელი მთლად. პოეზიას ჰქმნის პოეტი, მეოთხეული საზოგადოება, მთელი ერი. პოეტმა ჯერ თითონაც არ იცის სრულად,—თუ რა შეჰქმნა მან. ნაწარმოები უნდა გაერკვეულიც ხალხში; მეოთხეულ ენდა ჰქონდეს შესაძლებლობა ნაკოლოს ის ერთხელ, ორჯერ, ათჯერ, ოცჯერ,—იგრძნოს, განიცადოს, აღიარდეს, ალტაცებაში მოვიდეს. კრიტიკამ უნდა ღირსეულად განიხილოს იგი—გულდასმით, სიყვარულით და აი, მხოლოდ ამის შემდეგ იქნება გაშუქებული ყოველი ხელოვანი, კუნქული ნაწარმოობისა; მხოლოდ ამის შემდეგ აღმოჩნდება ბევრი ისეთი რამ, რასაც გარკვევით ვერ ჰხედავდა თვით შემქმნელი პოეტიც.

მე-XVI საუკუნის ინგლისს ჯერ კიდევ არ ჰყავდა შექსპირის უფერი, რომელიც კაკუბრიობას აკეთებს დღეს. მე-XVI საუკუნის შექსპირი იყო ჯერ კიდევ პატარა შექსპირი, შედარებით იმ შექსპირთან, რომელიც ვეყოვეს დღეს ჩვენ. შექსპირი ისე ჩაეიდა საფლავში, რომ თითონაც არ იცოდა, თუ ვინ იყო ის, ან რა შეჰქმნა მან. ყოველად შეუძლებელია ერთმა კაცმა შეჰქმნას ის, რასაც დღეს აწერია მხოლოდ შექსპირის სახელი. შექსპირმა მოგვცა შესაძლებლობა ავსულიყავით პიროვნის იმ მშვენიერებენ, სადაც უკვე განცვიფრება და სასთვრალეა. დღევანდელი ჩვენი შექსპირის ავტორი არის სამი საუკუნე—ჩვენ ყველანი. დღეს ჩვენთვის წარმოუდგენელია ისეთი კაცნიერება, რომ მას ხმა გავსცეთ, ჩვეულებრივი სალაპარაკოთ. ეხლა რომ შექსპირი შემოვიდეს კი ამ დარბაზზი, ეფექრომ, ყველანი მუხლებზედ დავეცემით და ზედ შეხედვას ვერ ვაკადრებთ. ჩვენთვის გაუგებარია, რატომ ინგლისის თანამედროვე ხელოვნეემ თავისი გვირგვინი მას არ დაჰხურა,—ეს იმ შექსპირის, იმ მე-XVI საუკუნის შექსპირს, რომელსაც ლორდების მეჯინიბეებთან ყოფნა უხდებოდა!

მე-XVI საუკუნის „ჰამლეტი“—ეს ისეთი ტრაგედია იყო, რომელისთვისაც ავტორს მხარზედ ხელს უტყაპუნებენ—„ბარაქალაო“! დღეს კი ჩვენთვის ეს ისეთი რამ არის, რომ ჩვენ მხოლოდ მეზღვის მოდრეკით შეგვიძლიან გამოვხატოთ ჩვენი უსაზღვრო განცვიფრება!

არც ერთი პოეტი არ არის ისე ნაგრძნობი, განცდილი უამრავი ხალხისგან, როგორც შექსპირი. კრიტიკა—პოეზიის კოლუმბია; არც ერთ მწერალზედ არ დაწერილი იმდენი, რაც შექსპირზე. სამი საუკუნის განმავლობაში მისი შემოქმედების კვლევა-ძიება, კრიტიკული განხილვა, აუარებელი გამოკვლევანი, მათი დასტრათხატება საუკეთესო მხატვრების მიერ ყველა ეს შექსპირის თანამშრომელი იყო,—თანამშრომელი არა ტეხნიკური, არამედ შემოქმედი. ღირსეული კრიტიკა არის გაგრძელება პოეტის შემოქმედებისა. რა ვუყოთ, რომ ამერიკის ხმელეთი არსებობდა დასაბამიდან! ჩვენთვის ის შეჰქმნა კოლუმბმა! კოლუმბმა აღმოაჩინა ის, რაც იყო—მხოლოდ! კრიტიკა აღმოაჩენს ისასაც, რაც ეგულება თვით ავტორსაც. გადაათვალიერეთ შექსპირის თხზულებათა საუცხოო ილუსტრაციები და თქვენ იგრძნობთ, თუ რა დიდებული თანამშრომლები ჰყვანდა შექსპირს! ეს შექსპირთან თანამშრომლობა, მისი შემოქმედების პოტენციის განვითარება,—გაღრმავება, ეს აღმოჩენა შექსპირის ამერიკისა გრძელდება დღემდე!

კემბლი, კინი, ირვინგი, ბუსსი, ოლრიჯი, მუნე-სიფლი, როსსი, მაჩალოვი, მესხიშვილი—ეს დიდებული კრეკეული დიდებულ ესახიობთა, ეს გრანდიოზული ცოცხალი სურათ-ხატება შექსპირის შემოქმედებისა—განა მათ ყნელი არ უდევთ შექსპირის განდიდება-გაზვიადებაში?!. ყოველი მათგანი თავისებურად ცხოველჰყოფდა ანა მარტო ამ სახეთას, რაც ჰქმნდა შექსპირს, არამედ ამასაც, რაც იქ არ იყო, მაგრამ უნდა ყოფილიყო!

ის დიდებული ამერიკელი მეყურებელი, რომელმაც „ოტელოს“ წარმოდგენის დროს იქვე სცენაზედ მოჰკლა იაგოს როლის დიდებული განმასახიერებელი—განა იმან კი ახალი-ეფიალი არ ჩააწნა შექსპირის გვირგვინს?!.

და აი—ქვეყნიურმა ასეთმა თანამშრომლობამ სამი საუკუნის განმავლობაში აიყვანა შექსპირის პოეზია იმ თვალ-მიუწვდენელ სიმაღლემდე, რომ ედგეკვარი იქ და მთვრალთ თავსბრუ ვგვსხმს!..

მე განვეკ ვეეჩერდი ამ ზეიად საიელიტერატიკიო მაგალითზე, რაც ტიპიოერად უნდა ჩაითვალოს ევროპიიულ პოეტების საზოგადო ბედისა და ეხლა შეუსვენებლივ გავიხსენოთ ქართული პოეზიის იღბალი.

თუ თვალს გავადევნებთ შორეულს წარსულს, იქ დავინახავთ ერთს პაწია მუმა ერს, მომწყვდეულს მთებით შეკრულს ფარეხში და გარეშმორტყულს ცხადად თუ ფარულად მონადირე ზნელ-ზელა-ტურებისგან. ოცი საუკუნის განმავლობაში ეს ერი შეუსვენებლივ იქნეფდა სახრეს მთ მოსაგერიებლად. შექსპირი საქართველოში ვერ დაამთავრებდა ერთ ტრაგედიასაც ისე, რომ ტყეში გახიზნა არ დასჭირებოდა.

წარსულ საუკუნეში რუსეთის იმპერიალიზმმა საქართველოს ხელიდან ჩამოართვა სახრე და მასთან ერთად ჩამოართვა ენა და თავისუფლება. რა ითქმის მუნჯის მეტყველობაზედ? რა ითქმის ქართულ პოეზიაზედ, როდესაც ტლანქი პოლიტიკის მეოხებით თვით ქართველებივე ქართული ენის ხმარებას ცუდი ტონის მაჩვენებლად სთვლიდნენ?!.

მაგრამ—სარკრეპავ! —პოეზიის ამ სასაფლაოზედ ცაალოვნენ ისეთი მშვენების ვარსკვლავები, რომელთა ბრწყინვა თვალს მოსჭრიდა ჩვენზედ უფრო დიდს და გულ-ზვიად ერსაც. უბედურობა მხოლოდ იმაშია, რომ ჩვენი პოეზიის ცა სქელი ჯალნითა და ბურუსითაა მოცული; ამ ბუნდოვანობაში ჩვენც მხოლოდ ზუნდოვანადა ვგრძნობთ, რომ ვარსკვლავთა ნელი ბეტეკა სინამდვილეში ეღვარეგბაა, მხოლოდ მა ჩვენ ვერ ვხედავთ ამ ნისლით მოცულ ჰაერში.

დიახ, ჩვენ დღემდე არა გვაქვს შეძლება გავფუანტოთ ეს ბურუსი, მოვაკრიალოთ ჩვენი პოეზიის ცის კამაღონი და ვიხილოთ, ვიგრძნოთ, განვიცადოთ, დავთვრეთ მისი ნამდვილი მშვენებით!

ახ-კი საიდან!

თავი ღიკანებოთ იმ საკაკობრიო ბატბაბის გრიდიოზულ მუმაობას, რომელმაც იხგლისის მზეს მოსწყვიტდა მტკრის უკანასკნელი ნატამალიც და მისი ზღვა სხივები გარდატეხა ქვეყნიერების გიგანტურ პრიზმაში—ეს ჩვენთვის არაკია!

რ ო მ ე ნ რ ო ლ ლ ა ნ ი

სახელოვანი ადამიანი მას კი არ ჰქვია, ვინც გაიმარჯვა აზროვნებით ან მატერიალური ძალით,

არა, სახელოვანი ის არის, ვისაც გული აქვს დიდი.

რომენ როლანი.

I

ცხოვრებაში გამარჯვებისთვის, დასახულ მიზნის მიღწევისთვის,—საჭიროა შინაგანი დიადი ძალა. ეროვნებით დამარცხება ასეთი სულისთვის, მხოლოთ ეესპერიმენტია, ენერგიის გაერთწერტილიანებაა, დასვენება, ეროვნებით შეწერება,—სხვა არაფერი! გამარჯვება, სახელი, მზიანი კუთხის მონახვა—მუდამ წინ არის!..

თუ შენ დიდსულოვანი ხარ, თუ შენში არის შინაგანი დიადი ძალა—თუ შენ კეთილი ხარ,—ქმარა!—ეს აგამაღლებს შენ და არა შენი ლტოლვა ამაღლებისკენ! თუ შენ **ცდილობ** ცნობილი გახდე და აღწევ კიდეც ამას, არ დაგავიწყდეს, რომ ეს იქნება ეროვნებით! შენი დიდსულოვნება კი საფუძველია შენი მომავლის...

ეს სიტყვები ეკუთვნის რ. როლანს და არც არის ვინმე თანამედროვე ევროპაში ისეთი, ვისზედაც ასეთი სიცხადით გამართლებულიყოს ეს აზრი, როგორც თვით ავტორზე.

რ. როლანს არ უყვნია სახელი, არამედ მისი შინაგანი დიადი ძალა არის მიზეზი მისთვის სახელის მოხვეჭისა.

ჯერ კიდევ შვიდი-რვა წლის წინათ—როგორც გადმოგვაცეს გრაუტოფი—არც ერთს პარიზის სალონში რ. როლანი არ იყო ცნობილი.

პარიზის მთელი ლათინური უბანი უნდა შემოვლო ადამიანს, რომ მიეგნო იმ უბრალო, ყაზარმის მზგავს სახლისთვის, სადაც სცხოვრობდა რ. როლანი. სამი ვიწრო და მოღუნული საფეხური, მერე კარი; დარეკავთ ზარს. კარი გაიღება და თქვენ წინ წამოდგება მაღალი, შეზავებული ტანის კაცი, რომლის სახე ინთქება დერეფნის ნუკდიადში. ეს არის სახლის პატრონი; დერეფანი, ფრიად ვიწრო, წიგნის თაროებით გაჭედილი. მერე პატარა ოთახი, აგრეთვე წიგნებით სავსე, შუაში სამფსო მაგიდა და ორი სკამი. კედელზე ჰკიდია ბეთხოვენის და შტრაუსის სურათები; ფანჯრებში საამრათ იხედებიან ძველი მონასტრის ხეების ტოტები.

რ. რ-ს განგებ აქვს მოწყობილი ასე უბრალოთ ყოველ სამკაულს მოკლებული ბინა: მას უნდა გარეგნული კომფორტი მოიშოროს, რომ უფრო ღრმად განიცადოს შინაგანი თავისუფლება, თავის შინაგანი ქვეყანა. განდეგილობაში, მარტოობაში მწიფდება მისი ყოველდღიური შრომა. მას არ აქვს დრო მოშსვლელები მიიღოს, რადგან მისთვის საჭიროა გაუწყვეტელი მუშაობა. ცნობილი ადამიანის როლს იგი არ თამაშობს. მისი სახელი დამსახურებულია არა კომპრომისებით, არა რეკლამებით, არა ძიებით და არა ყოველნაირი შესაფერი თუ შეუფერებელი ლტოლვით სახელის მოხვეჭისთვის,—როგორც ამას მრავალი სრდილს, არა, ის მუდამ განმარტოებულია იმ გულნამეცეკ ხალხისგან, რომელნიც სახელისთვის ყოველდგენ უმსგავსებას სწადიან ხოლმე. რ. რ. რეთაიაც ამ ეკამათ მოჯადოებულია მთელი ქვეყანა.

ელამესი არის პატარა ქალაქი ნიგერის დეპარტამენტში, სადაც დაიბადა რ. რ. 1866 წელს 29 იანვარს. ბავშობაც და პირველ დაწყებითი სწავლაც ამავე ქალაქში გაატარა. შემდეგ კი პარიზში ლუი დიდის ლიცეუში, სადაც პოლ კლოდელი იყო პატარაობიდანვე მუსიკა იყო მისი საყვარელი საგანი, მოუხდავათ ამისა მაინის სურეელისაბერ ის შედის 1886 წელს Ecoie Normal-ში. მისი მასწავლებლები იყვენ ლიტერატურის ისტორიკოსი და კრიტიკოსი ბრიუნეტიერი, ფილოლოგი ბუსს�ი, ფილოსოფოსი Olle-haprun-ი და ბრუშარი, ისტორიკოსი გაბრიელ მონო. ამ ხანებში მან შეიმუშავა თავის ფილოსოფიური შეხედულება, თავის მეტაფიზიკა, ეთიკა, ესტეტიკა პანნეოისტურ საფუძველზე.

ამავე ხანებში დასწერა წიგნი, რომელიც თავდება შემდეგი სიტყვებით: ამის შემდეგ არაფერი მეტაფიზიკა: მე ვპოვე ის, რაშიც დარწმუნებული ვარ, რის შესახებ აღარაფერი კითხვა არ არსებობს ჩემთვის. ფეხ ქვეშ მაგარი საფუძველი მაქვს. ეხლა უნდა ვიარო წინ შემოქმედებისთვის... და რ. როლანი დარჩა კიდეც ასეთი.

ყველაზე დიდი შთაბეჭდილება თანამედროვე ლიტერატურიდან მასზე მოახდინა ნეო ტოლსტოომ, რომლის შესახებ ვრცელი ბიოგრაფია დასწერა.

1889 რ. როლანი რომშია, რომი მან შეიყვარა მთელი არსებითი. აქ მან გაიცნო მალეიდა მეიზენბუგი იდეალისტი ქალი, რომელმაც მთელი სიცოცხლე გაატარა ქალთა ემანსიპაციის ბრძოლაში და მესამოცდათ წლებს მიტანებული ისეენებდა რომში. მეიზენბუგსაც ძალიან უყვარდა მუსიკა და ეს გახდა მიზეზი მათი დამეგობრების. მალვიდა მეიზენბუგის გაეცნინო რ. რ-ს დაიწყო პირველად დრამების წერა.

პირველი მისი დრამა „ემპედოკლე“ დაწერილია 1890 წელს. ამას მოყვა „ლუი წმინდა“ დაბეჭდილი ჟურნალ „La reirie de Paris“. შემდეგ ოთხი დრამა რევოლუციონურ დროიდან აღებული: „მგელები“, „ბონიფერის გამარჯვება“, „დანტონი“ და „14 ივლისი“.

რ. როლანს დიდი იმედი ჰქონდა, რომ ხალხისთვის დაწერილი მისი დრამები ცხოვრებაში გამარჯვებას მოიპოვებდა. ის სწერდა: დაბოლოს უნდა მიეკეს სიტყვა ხალხს, უნდა დაარსდეს „თეატრი ყველასთვის“, სადაც საზოგადო შემოქმედებმა გადაიქცევა საზოგადო მხიარულებათ. ჩვენ ვიწმენთ ყველა მას, ვინც ხელოვნებაში ხედავს საზოგადო კაცობრიულ იდეალების გამოსახვას—ცხოვრებაში კი—ძმობის იდეალის განხორციელებას—ყველა მას, ვინც აერთებს ოენებას და მოქმედებას, სინამდვილეს და შშვენერებას, ხალხს და რჩეულთ.... თუ ხელოვნება არ მიეგებება ხალხს,—ის დაიღუპება, და თუ ხალხი ვერ იპოვის ხელოვნების გზას, —მაშინ კაცობრიობა დაჰკარგავს არსებობის მნიშვნელობას... ახალი ცხოვრებისთვის უნდა შეიქნას ახალი ხელოვნება...

რ. როლანის თეატრმა ცხოვრებაში ვერ ნახა გამარჯვება და დამარცხდა...

ასეთი დამარცხების შემდეგ რ. როლანმა დაიწყო ახალი გზების ძიება თავის იდეების გასავრცელებლად. ეს იყო დიდი ადამიანების ცხოვრების აწერა. „Eies les Hommes Mustres“. პირველი ზრამა „ბეთხოვენის ცხოვრება“ გაწოქეყნდა ჟურნალ „Cahiers de la Omnzaine“-ში. იმავე ჟურნალში დაიბეჭდა ცხოვრება „მიქელ ანჯელოსი“ დაბოლოს „ლეო ტოლსტოის“ ცხოვრება.

ბეთხოვენის ბიოგრაფიის წინასიტყვაობაში აწერილია ეთიური და ესტეტიკური შეხედულების აღსარება რ. რ-ს: „ჩვენს გარშემო ატმოსფერა დახუთულია. ძველი ევროპა იყინება მისივე შექნილ ბორკილებს ქვეშ. ყოველ აღფრთოვანებას მოკლეტული მატერიალიზმი ჰპორკავს ჩვენს აზროვნებას და შემოქმედებას. ქვნენიერება მოშხამულია გათახსირებული ეგოიზმით. ცხოვრება იხუთება. გაეალოთ ფანჯრები. მეტი ჰაერი!.. ვიცოცხლოთ გმირების სულით... ჩვენ მარტონი არა ვართ ბრძოლაში. დროს გავუხსნათ საზოგრები. გავაცოცხლოთ სახელოვანთა სულები. სახელოვანს იმას კი არ „ვეძახ, ვინც გაიმარჯვა აზროვნებით ან მატერიალური ძალით,—არა, გმირი ის არის ვისაც დიდი გული აქვს!.. არა დიდი ბუნების მქონე, ვერც გახდება ცნობილი, ვერც დიდი ხელოვანი: ისინი მხოლოდ დროებით იქნებიან მასსის კერპები, მერე კი უშედეგოთ გაქრებიან. ჩვენ არ გვაშინებს მათი გამარჯვება. საქმე იმაშია რომ **ნამდვილათ** იყო **დიდი**, და არა ასეთად მოეჩვენონ სხვას. დიდ ადამიანთა ცხოვრება განწყვეტელი წამება იყო. და თუ ისინი ცნობილი იყვნენ თავისი ენერგიით, ამავე დროს დიდები იყვენ თავისი უბედურებით. დიდ, ჩვენთვისაც გამამხნევებელი იყოს მათი ცხოვრება!.. და სისუტის დროს მათ მუხლებზე დავდოთ ჩვენი თავები, რომ დავისვენოთ. ისინი ვეგუენ-ვემეგენ ჩვენ...

მიქელ ანჯელოს ბიოგრაფიაში რომენ როლანი ამბობს: ნამდვილი გმირობა ის არის, რომ ხელიდან ქვეყნიერებას ისეთად, როგორიც არის იგი და გაუვარდეს როგორც ასეთი... და სისუტის დროს ზმირთა მუხლებზე დავდოთ ჩვენი თავი, რომ დავისვენოთ და მათგან მივიღოთ ნუგეში...

ასეთი გმირი დაგვახატა ჩვენ რ. რ. თავის უკვდავ ნაწარმოებში, რომელსაც სახელათ ჰქვია ჟან-კრისტოფი...

ჟან-კრისტოფი! თუ ვისმეს უნდა ცხოვრებაში კეთილი მეგობარი ჰყავდეს—უნდა გაიცნოს ჟან-კრისტოფი... თუ გინდათ ისწავლოთ როგორ უნდა ბრძოლა კეთილდღეობისათვის, თუ გინდათ გაიცნოთ, რა არის სიყვარული, შეიმცნოთ რა არის სილამაზე, ხელოვნება, შშვენერება, გატაცება, წაიკითხეთ ჟან-კრისტოფი!.. თუ თქვენ ბრძოლის დროს მიეცემთ სასოწარკვეთილებას, დაეცემთ სულით, გაესუსტებთ ენერგია ჟან-კრისტოფი მოგა თქვენთან და გეტყვის: კეთილ-ზეწყობილთან ზეხედი ყოველ დღეს, ნუ ფიქრობ იმაზე თუ რა იქნება ერთი წლის განმავლობაში, ან ათი წლის შემდეგ, იფიქრე მხოლოდ დღეკანდელ დღეზე. თავი ანებე თეორიებს. ყოველი თეორია, გესმის, თვით კეთილ—დღეობის თეორია,—ფუჭია, გამოუსადეგარია, სისულელეა, ზიანის მეტს არას იძლევა! ძალდატანებით ნუ იცხოვრებ. იცხოვრე დღეკანელი დღით!

და თუ შენ კეთილი ხარ, ყველაფერი კარგათ წავა და თუ შენ ასეთი არ ხარ, თუ შენ სუსტი ხარ, თუ შენ ვერ აღწევ მიზანს,—რა ვუყოთ, მაინც უნდა ებედნიერათ იგრძნო თავი,—რადგან, ალბათ შეუძლებელია მეტის მიღება!.. მაშ რისთვის-და უნდა მოინდომო მეტი? რისთვის უნდა დამწუხრდე იმაზე, რაც არ შეიძლება. უნდა გაიკეთო ის, რის გაკეთებაც შესაძლებელია!..

ჟან-კრისტაფი გახდება თქვენი წინამძღოლი ცხოვრებაში და გაგიყვანთან მზიან ქვეყანაში... ე. კრისტოფი გასწავლით თქვენ თუ როგორ უნდა ბრძოლა და გამარჯვება...

ჟან-კრისტოფის სათაყვანებელი საგანი, მისი—მამძოძაევებელი ენერგია ცხოვრებაში,—მუსიკაა. მუსიკა—მარადისობის სიმბოლოა...

მე მე არც ვიცი რა დაეარქვა რ. როლანის ნაწარმოებს ვინაიდან ათ ტომიანი ჟან-კრისტოფი არც რომანია, არც პოემა—ეს არის მთელი სიმფონია...

პირველ ტომში—განთიადი—L'aube—აწერილია ჟან-კრისტოფ კრაფტის ბავშვობა. გერმანული ქალაქი რეინის მიდამოში. სახლის ვეერდით პატარა ღელე. ჟან-კრისტოფი ხშირი სტუმარია მდინარის პირად. მისი ჩხრიალი მუსიკის ხმებს ჰბადებს ბავშვის გონებაში. მამა პიანისტია და შვილსაც ასწავლის პიანოზე დაკვრას, მაგრამ ლოთი და უხასიათო მამა ვერ გამოდგება კარგი მუსიკის მასწავლებელი. გაკვეთილებს მიეცმა ხასიათდება ბავშის ხშირი ცემით, რითაც მას შესძულდება მუსიკის სწავლა. მაგრამ ყველაფერი მუსიკაა იმ ადამიანისთვის რომლის გული მუსიკალურია. ის გარბის საყვარულ მდინარისკენ, რომ აქ მოისმინოს ნამდვილი მუსიკალური ხმები, იოცნების მუსიკაზე...

კრისტოფს სძულს მამა. მისი ბავშური თავმოყვარეობა შელახული, მამის უბედური ქცევით იტანჯება და იჩაგრება ბავშის გული.

ერთი მომეტნი ბავშის ფსიხოლოგიიდან: ჟან-კრისტოფი სდგას მაღალ კიბეზე, იცქირება ქვევით, გაჯავრებული მამაზე. ფიქრობს: გადავარდა კიბიდან, დაიმსხვრა, შეიქნა ყვირილი, მოვიყვანდენ შშობლები, დედა ეუყვირის მამას და ეუბნის: ეს სულ

ჩვენს პოეზიას აკლია სულ უკანასკნელი—აღბეჭდვა ქაღალდის ფურცლებზედ: მე-XIX და XX, ეგრედ წოდებული—ტეხნიკის საუკუნეშები ჩვენი პოეზია განიცდის ზეპირ-სიტყვაობის ხანას.

ომიანობის წინა დროს რუსეთის გამომცემლობამ (ეროპაზედ ლაპარაკიც არ ღირს), როგორც წარღვნამ, ისე წალეკა საქართველოც-კი! სადმე ციებისგან ათ-კომლედად დაყენებულ სოფელ კუპატაწმიაც დღესაც იპოვნით პოლონსკის, ლაფეჩნიკოვის, მელნიკოვის და სხვათა მთლიან გამოცემას; მაგრამ აბა აქ—ჩვენი კულტურის ცენტრში—დგეპირდეთ რუსთაველი, ილია, ბარათაშვილი, თუ ვაკეში გასეირნება არ მოგიხდებათ და იქ ძიება საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში!

რაც შეეხება დღევანდელს ჩვენს პოეზიას—ეს ხომ პირ-და-პირ საესტრადო ხანას გაინაცლის: წელიწადში ორიოდეკეკერ თუ მოხერხდება ჩვენი პოეტის თითო-ოროლა ლექსის გამოფენა საზოგადოების წინაშე.

კრიტიკა, კვლევა-ძიება, დასურათხატება და ყოველი ის, რაც საჭიროა პოეტური ნაწარმოების მხლება—დაფასებისთვის, ნათელ-ყოფისთვის, შეგრძნობა - შეთვისებისთვის,—ეს ხომ კიბის შემდეგი საფეხურებია, რომელთაც აკლიათ პირველი. უაილდი ტყუილად-კი არ ამბობს, რომ დაწერა უფრო ადვილია, ვიდრე მისი წაკითხვაო! აი, სამსაი წელიწადია, რაც კაკაბრიობა გულმოდგინედ კითხულობს შექსპირს და ჯერაც ისევ წასაკითხია! როგორა გსურთ ჩვენი პოეტები ერთი გაკვრით წაიკითხოთ, მოისმენოთ და ეს საკმარისი იყოს, რომ ისინი მთლად იგრძნოთ, განიცადოთ, დააფასოთ?!..

შექსპირი ხომ შექსპირია, მაგრამ არც ევროპელი ბარათაშვილი, ვეკა, ილია, აკაკი და სხვა ჩვენი თანამედროვე პოეტების სწორნი დარჩენილან უდაბნოში, როგორც ეს წოლად ხედათ ჩვენებს. რომ შე-XVI საუკუნის შექსპირი დღევანდელ შექსპირად იქცა, ეს მხოლოდ მისი შექსპიროობით არ ახსნება. აგრეთვე: თუ მე-XIX საუკუნის ჩვენმა დრამამ ისეთი პოპულიარობა მოიპოვა, რომ მთელ ერს გაზეპირებული და განცდილი აქვს, ეს არ აიხსნება ამ დრამის მაღალ ღირსებით: იმ დროს ჩვენ შეგვრჩა მხოლოდ და მხოლოდ ერთი ეროვნული კერა—თეატრი. ამას დაერთო მეორე ბედნიერი მოვლენა: მაღალნიჭიერ მსახიობთა გაფურჩქნა და-ესე: ქართული თეატრი გადაიქცა ერთად ერთ ფოკუსად, რომელშიაც იკრიბებოდა მთელი ეროვნული ნიჭიერების შემოქმედება, განცდა, აღტაცება, პოეზია! ვასო აბაშიძე, მესხიშვილი, გაბენია, საფაროვ-აბაშიძისა, ჩერქეზიშვილისა, გუნია, ყიფიანი, მესხი, აწყურელი, გამყრელიძე—აი, ვისი შეძოქმედებით გაიზარდა ჩვენი დრამა! დანარჩენი ჩვენი ლიტერატურა—კი ვერც წერა-კითხვის საზოგადოების აწყრამა გამოცემამ, ვერც მისმავე ორიოდე სკოლამ, ვერც გიმნაზიების ქართული ენის მეექვსე გაკვეთილმა ვერ გამოიყვანეს უდაბნოს წიაღიდან!

და აი ესე: ჩვენი პოეზიის ცა დღესაც ბინდით არის მოცული,—შეეცქერით მას მოგვთა სასოებით და ვეღით, როდის განიბნეა უკუღმართობის ბურუსი და გამოაბრწყინს პოეზიის მნათობთა უცნაური ხომალდ!

შვიდ-მაისამა პოეზიის დღედ გადაიქეა—რომელი რომელს აშშვენებს? მაგრამ თვით მაისიც ხომ, როგორც ყველა სხვა მაისებიც, პოეზიის შექმნილია! მართალია, მისი მზე ჯერ კიდევ ცხოვლად ვერ ანათებს, მაგრამ პოეზია ხომ თვით მზეა და აი—ჩვენს შემდეგ თქვენ საყვარელ პოეტების პირით ვარდს შეაფენს მის მოჩრდილულ კალთებს...

ნ. შიუკაშვილი.

პ ო ე ზ ი ი ს დ ღ ე

მაისის 7. ხელოვნების სასახლე. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირმა ისეთივე ზეიმი ტრადიციული დღე: „შვიდმაისობა“.

დღის 12 საათზე სასახლეში შეიკრიბა მწერალთა კავშირის საბჭოს სრული შემადგენელობა და ტფილისში მყოფი კავშირის წევრები. შემადგენელობა გიყო ორად—ნაწილი გავმგზავრა მთაწმინდაზე რომ აკაკის, ილიას და დიმიტრის საფლავები მოეთოოთ ცოცხალი ‘ყვავილებით, მეორე ნაწილი დიდუბის პანთეონში—ნიკო ბარათაშვილის, ვეკასი და სხვათა საფლავების შესამკობად.

საღამოს 8 საათზე, ხელოვანთა სასახლეში გაიმართა საზეიმო საღამო, ამ დღისთვის საგანგებოდ დაწერილი იყო „პოეზიის ჰიმნი“ მუსიკა: დ. არაყიშვილისა, სიტყვები გალაკტიონ ტაბიძის. სასახლის დარბაზი მოჩოფილა ყვავილებით და მწერალთა სურათებით. დარბაზი სავსეა მოწყვეულ სტუმრებით. საღამოს გახსნილად აცხადებს და მოკლე სიტყვას ამბობს საბჭოს თავმჯდომარე კ. მაყაშვილი, რის შემდეგ კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით აკადემიური გუნდი მღერის „პოეზიის ჰიმნს“. დამსწრე საზოგადოება ამეორებინებს ჰიმნს და მხურვალე ტაშის ცემით აჯილდოვებს როგორც ჰიმნის ამსრულებელთ, ისე მის დამწერს კომპოზიტორ დ. არაყიშვილს. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ნ. შიუკაშვილმა, რომელიც დღევანდელ ჩვენს გაზეთში იბეჭდება სავსებით. მოხელრლებმა ვანო სარაჯიშვილმა და ა. ეუმბერიძემ იმღერეს რომანსები: პირველმა—„დავრდომილი სნეული“, კ. მაყაშვილისა და გრიშაშვილის „გენაცვალე“, მეორემ—„ლერწამი ხარ“ მუსიკა თ. შაევრზაშვილისა, სიტყვები ი. გრიშაშვილის, „მშვენიერთა ხელმწიფეს“. მეორე განყოფილებაში კ. ფოცხვერაშვილის ლოტბარობით გუნდმა შეასრულა „ღმერთო“ მუსიკა სულხანშვილისა; „რეარო“, საღეკვრძელო—სიტყვები მამია გურიელისა, „სამშობლო ხეცსერისა“, დ. „სამშობლო“. მეორე განყოფილება დასურულდა კვლავ „პოეზიის ჰიმნით“. მესამე განყოფილებაში ავტორი წაწარმოებნი წაიკითხეს: გალაკტიონ ტაბიძემ, დუტუ მეგრელმა, საფო ბგელაძემ, ლავოეტი ძაძიგურმა, ი. დარაშვილმა, დემნა შენგელიამ, ს. ფაშალიშვილმა გობრონ აგაროვმა, ტერენტი გრანელმა, სოლომონ თავაძემ (ობოლი მუშა), ვარ. რუხაძემ (ბრალეული), ალ. ბარამიძემ, ალ. ბარამიძემ (ბოლოდ), ალ. ბარამიძემ (ბოლოდ), ალ. ბარამიძემ (ბოლოდ),

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაარსებელი, მას ეწყვიდენ ხოლმე მაშულისშვილნი და აქ სდებდენ ფიცს მამულის ერთგულებაზე; მან იხილა დაეთი აღმაშენებლის ხმალი, რომლითაც გაჰკვეთა მტერი და აღადგინა საქართველო; იგი დაესწრო თამარის ქორწილს დიდუბეში, სადაც პირველად გაიშალა თამარის დროშა და შეერიგა სრულიად საქართველოს ლაშქარი: „კახი ფარშუბით, თუში ხმლით, ფშაკ-ხევსურს შვენის აბჯარი, მკლავით ძლიერით ქართველი, ვით ციხე-ბურჯი მაგარი; გმირი იმერი ზრდილობით, გურულ-მეგრელი მკერცხლობით“.

კარგთან ბევრი ავიც იხილა; ბეერჯელ შეასვა სამსალა ღალატმა: მან იხილა დამხობა, დამსხვრევა გიორგი საკაძის დიდებული იდეიისა საქართველოს გაერთიანებაზე; მან იხილა პატარა კახის ბრძოლა კრწანისზე, მისი ბრწყინვალე გამარჯვება, რომლის ძალა ჩაკერო კვლავ ღალატმა: შინაურმა მტერმა აღა მახმად ხანს ციხის კარნი გაუხსნა და მერე ირაკლი ილტოდა ანაურს, საიდამაც გამოიტარა თვისი პატარა და საყვარელი საქართველოს ბედი. საქართველომ ვეღარ იხილა „ირაკლის ხმალი მღელვარე, დიდება ივერიისა“...

მოიღნა წელნი მთაწმიდა, შუბლი დაეღარ-დაუნოვდა, მწარედ ჩაფიქრებული გადმოჰყურებდა დაბლა მიდამოს; გულში იმედის ნაპრწყალი მაინც უციალებდა. მზე სწყალობდა, უხვად ითბობდა მთაწმიდის ბებერს გვერდებსა, მოეკლინა მას დიდებული მგოსანი, მგოსანი სულით ობოლი, სევდით აღტყინებული, მგოსანი განუწყვეტელს სევდა-კვენნისა. იგი დაუმეგობრდა თვისსავით ჩაფიქრებულს, სევდა-კვენნინს მთაწმიდას. თვითაც იშვებდა, მთაწინდასაც ანუგეშებდა. მთაწმიდა დღესაც იგონებს იმ ღაღადისს, რომელითაც მგოსანმა მას მიმართა: „ჰოი, მთაწმიდავ, მთაო წმიდავ, ადგილნი შენნი დაფიქრებულნი, ვერანნი და უდაბურნი, ვითარ შვენიან, როს მონამენ ცვარნი ცოცრნი“...

ა‌ა, ჩემთან იქარვებდა მგოსანი მის გულსა და სულში შესეფულ ჭმუნვარებათ. თვითაც იშვებდა და დაობლებულს, დაჩაჩანაკებელს მთასაც გულს უფინებდა.

სწუხს მთაწმინდა ერთის გარემოებით: ჩემმა სამშობლომ გული დამიშაშრა შხამიანი ნეშტარით: ჩემთან შეტკბობილი მგოსანის ბგამი მიაბარა დიდუბეს, მე კი ზეიდან გადავტიროდი ჩემს მგოსანს და არ მეღირსა მისი ჩემს დაღარულ გულში ჩახუტება.

მხოლოდ აკაკიმ არ დამივიწყა,— მოსთქვამს მთაწმიდა,—მნ ჩამაბარა მეორე დიმიტრი თავდადებული, წყეული მოედელ მთავარისაგან ნაწამები. ასე შემომღაღადა მგოსანმა: „მთაწმიდა გულში იხუტებს საწვალიშვილო სამარეს, მამა დაეთისა აეედრებს, ამაბებს ქეეყნის მოყვარეს.“ ვუსმინე მგოსანს, სიამოვნებით განვასვენე იგი ჩემსა წიაღში. ოცი წლის შემდეგ მეორე წამებულიც: დიდი ილია. დიმიტრის მტრისაგან მიაყენებული ჭრილობა მაღე დავუშეშე, მაგრამ ილიას შუბლიდან კიდევ ღვენთავს სისხლი. მართალია ხალხის თქმულება: „მტრისგან დამწეფული წყლული მაღე შეშდება, ხოლო თვისტომისაგან დაჭნეული კი გვიან!

აკაკის შეეუსრულა ანდერძი:„ ნურც ბეკდარს გამწარავ, ნურც ცოცხალს, ზე კალთა დამაფარეო და რომ მოვკვდები, გახსოვდეს—ანდერძი დავიბარეო: დედა-შვილობამ ბეერს არ გთხოვ—შენს მიწას მიმაბარეო.“

ჩვენ დღეს ვხარობთ და ვიშვებთ; სიკედილით ცხოვრებად მოვიქეცით, მზე ხომ სიკედილით ბადავს ცხოვრებას. იმ წყეულმა, „ვინა სოქვა საქართველოზე—ეს არის ლომი კედებაო?.. ბეერმა გვიკიეა კბილები, ბეერმა ფრანგული ლესაო; ცუდად წაუხდათ ქადილი, ვერა დააკლეს ბეელსაო!—წიწილნი წამომეზარდნენ, მხრები აისხეს დღესო“ (ბაჩანას ლექსი დან.)

მე, ილია, აკაკი, დიმიტრი ვიშვებთ და ვხარობთ, რომ მათთა წიწილთა ფრთები აისხეს დამუშეულნენ და გულიანად შეუდგენ დიდებულ წინაპართ ანდერძსა: საქართველოს მზიური სიყვარულით აღეყვეკენებას, ამის თავდებია „ჰოეზიის დღე“, რომელსაც ჩვენ საიქიოდამ ტაშს უკრავთ. ჩემს წიაღში განსვენებული სამება იმედით გადმოცქერის „ცა-ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტ სამშობლო მხარესა“, სიამოვნებით—ზოორს ცისკიდურზე მოციალე ახალს ვარსკვლავს, რომელიც დღითი დღე იკრეს შუქსა, იბადრება და იზდება, ეს არის სიმბოლო სამშობლოს მომავლის, მისი განახლებისა, გადახალისებისა. ამას სულის სისწრაფით ელის დიდებული სამება.

უსმინოს ზენაარმა.

მაგრამ მე მთაწმიდამ უნდა ეუსაყვედურო ქართველობას: ვი თუ ნიეღვარმა ჩაანგრიოს საუკუნო საანე მგოსანის აკაკისა და მისი წმიდა ძვლები შეეხსრონ.

ეეჰ, სირცხვილით უნდა ეწოთლდებოდეთ, სირცხვილით, მაგრამ... მაგრამ სადღა სირცხვილი, ყველა მეწამულობს...

სოფრომ მგალობლიშვილი.

დ ი დ უ ბ ე

წვიმიანი დღე.

პოეზიის დღეს არ სწყალობს ამინდი.

ეს მეოთხე წელია მოსდეეს ასეთი წვიმები.

პოეზიას დასჩემდა უამინდობა.

მაგრამ პოეტები და მწერლები ფუსფუფუნი არიან.

რთავენ სასახლის დარბაზს.

ემზადებიან ვარდებით დატვირთულნი დიდუბისაკენ, მთაწმინდისაკენ.

ყველას სადღესასწაულო იერი დაჭკრაეს და მათი ფრიალეული ხელს უშლის რიოალის მომმართველს ნოტების დაეეჭრაში.

ბოლოს გაემგზავრნენ.

წვაედნენ მოღუნულ ეტლებით პილიგრიმებივით პოეზიის სათნოებით დატვირთულნი.

ეეჭრ დიდუბისკენ გავემართეთ

მუშტაიფმა შემოვეგება თავისი მწეანე და ნოტიო მაისი, დიდუბე დაგვხდა ობოლი და მწუხარე.

რამდენიმე ღეთისმოსავებით და მათხოვრებით.

სასაფლაო დაფენილია პროპელლერებით და რაღაც სიფრთხილეს აღგიძრავს გულში.

ისინი ისე მწუხარედ არიან დაბორკილნი სუროთი და ბარადით, თითქოს იზიდებიან, უნდათ თავი დაალწიონ ამ მწუანე ბორკილებს, აზუზენდნენ უზარმაზარი კრაზანებივით და ასწონან სასაფლაო, გაიფრინონ ცაში.

რამდენი ნაღველია ირგალვე გამეფებული და ეს მწეანე მცენარეები, რაღაც საოცარ დამფიქრებელ დუმილს გაგებებს მხიელეს.

მათხოვრები კი სხედან ეკვდერის ფარდულებში და ეკლესიის კიბეებზე დადაკრეხნულ თითებით მოწყალებას ითხოვენ.

აქ, ამ ნოტიო და ჭაობიან ადგილას ასევნია ჩვენი ძვირფასი მეგობრები, რომელნიც ისე დამფიქრებლად ვეეეხმაურებიან თავიანთ სტონქინებიდან.

აქ ასევნია წაქცეული ქედი ფშაველთისა. (ეაკა-ფშაველა)

აქ ასევნია ის ადამიანი, რომელიც ისე აწამა სიკედილ-სიცოცხლისა და საქართველოს პრობლემამ. (არჩილ ჯორჯაძე)

აქ ასევნია თავადი ქართული კრიტიკისა. (კიტა აბაშიძე)

აქ ასევნი დონკიხოტი ქართული პოეზიისა. (ნოე ჩხეკვაძე)

აქ ასევნია დაწუეველი ყრმა და თავადებული რაინდი ცისფერისა. (ნიკო ბარათაშვილი).

გ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ალ. ფრონველი, ი. ყიფშიძე, ალ. ხახანაშვილი, თ. რაზიკაშვილი, ირ. ეედოშვილი, ალ. სულთანიშვილი, ლეო ნათაძე, კოტე ყიფიანი, ლადო მესხიშვილი და სხვა მრავალნი, რომელნიც ისე მოწიწებით ეშსახურებოდნენ ქართული კულტურის აღორძინებას.

მწუხარება იპყრობს გულს.

ისინი ისე უბატრონოდ და ობლად არიან აქ.

სულ მაღე ჩვენ დაგვეკარგება საფლავები.

ძლიეს ვარკვევთ დარაჯისა და მთავრის დამბრალნი ვინ სად ასვენია.

უბატრონოდ მიტოვებულნი.

ეაკა-ფშაველას ჯვარზე ეკითხულობთ სხვადასხვა ხელით ფანქრით წარწერილ სიტყვებს:

„სირცხვილი ქართულ საზოგადოებას!“.

და ყველას იპყრობს ნაღველი.

განა არის ქართული საზოგადოება?...

იგი ხომ მოკლულია დღეეანდელ პირობებით, მაგრამ იგი მაინც ვალდებულია მიახედოს თავის პანთეონს.

უმადურები ვართ ჩვენ, უმადურები.

ჩვენ მხოლოდ პანაშვიდებზე სასიაოლუდ ვართ გაჩენილნი.

მწერალი ამკობენ ძვირფას სამარეებს ყვავილებით, და კამდღიები, იასამნი, ვვიოლეები, ღაედაეი სკვიეიან საოკარა უმწეობით სამარეებზე, წვებიან პატარა, მკვდარი ანგელოზებივით.

ნოკო შიუკაშვილი დასაკერის დაფიქრებული ალ. სულთანიშვილის წაფიერდილ ჯვარს და მის გონებაში იშლება მრავალი მშობლიური, კახური მელიდიები, რომელნიც ისე ლამაზად ამბეტყველა იმ კაცმა, რომელიც ახლა აქ ასვენია ასე უპატრონოდ, საცოდავად.

ერთი პოეტი მიდის თავის შვილის სამარესთან.

მწერალები მასაც რთავენ ყვავილებით.

იწყება პანაშვიდი.

სამარისებური მყუდროებაა გამეფებული ირგვლივ.

მხოლოდ მთავრის გალობა არღვევს ამ მყუდროებას.

გალმიდან ეიეტ-ცხელებით ამოწყვეტილი საპურთალო დაგვეკერის.

მტკვარის დუდუნი შემორკილია გერმანელების ახალშენით.

იპოდრომი იქვე.

გაუქმებულია თამარის ლაშქარი.

ბარათაშვილის მერანი გაექცა ამ მოდგანს თავის მხედარით და ცაში გაფრინდა.

წვიმა კი თქაფუნობს სუროს ბარდებში.

ასე გათავდა ეს პანაშვიდი.

ასე მოიგონა ქართველმა მწერლებმა თავისი ძვირფასი მეგობრები...

წვიმა კი ისევ თქაფუნობს სუროს ბარდებში...

და დღეს პოეზიის დღეა, პოეზიის დღესასწაული.

დემნა შენგელაია.

ია კარგარეთელის იუბილე

მაისის 5-ს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართა ია კარგარეთელის სამუსიკო ასპპარეზზე 35 წლის მოღვაწეობის იუბილე.

პირველ განყოფილებაში სიტყვები წარმოსთქვეს იუბილიარზე—კომპოზიტორმა დ. არაყიშვილმა და პოეტმა ი. გრიშაშვილმა.

საიუბილეო საღამო გახსნა ქართველ ხელოვანთა მთავარ კომიტეტის თავმჯდომარემ კ. მაყაშვილმა. მიხ. კაკლაძის, სანდრო მისიუოაძის და საკაძის ვაუნდმა შესარულეს ხალხური სიმღერეები, რამაც დიდი აღფრთოვანება გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში.

იუბილარს მიულოცეს იუბილეროსაგე სიმღერებით სარაჯიშვილმა და ჭაკვაკაძემ.—

დასასრულ მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით ქ-მა ცქვეტაძა, პირველ კონსერვატორიის სახელით ვ. ზ. ფალიაშვილმა.

მეორე კონსერვატორიის სახელით ი. აბაშიძემ, ახალგაზრდა მუსიკოსთა სახელით სოხანიშვილმა, მეორე კონსერვატორიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კონსერვატორიაში არსდება იუბილიარის სტიპენდია. ახალგაზრდა მუზიკოსთა კავშირის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაუარსებს სტიპენდიას ახალგაზრდა ნიჭიერ მომღერალს. იუბილიარის მეითვითმეთა, სიტყვები წარმოსთქვეს აკადემიურ თეატრების მმართველობის სახელით დ. ჩხეიძემ, სომეხთა ხელოვნების სასახლის „აიარტენის“ სახელით ქარიფელ ენაზე. მხატვრარმ მ. თოთიძე, წერაკითხვის საზოგადოების სახელით ვ. ბურჯანაძემ და მიართვა „ვეფხის ტყაოსანი“, მოსწავლე ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა და ილია ნაკაშიძემ, რომელმაც სალამურით დაუკრა—მრავალამირი და მისი წინადადებით მოეცა დარბაზმა იმღერა „მრავალჟამიერ“. იყო აგრედვე მილოცვები სახელმწიფო დაწესებულებიდან. ქალაქის აღმასკომის დადგენილებით ტფილისის ერთ ერთ ქუჩას ეწოდება იუბილიარის სახელი. დასასრულ სიტყვა წარმოსთქვა თვით იუბილარმა და სთქვა: მიუხედავად იმისა, რომ „ცარიზმის“ მტარვალებმა მას დაუმახინჯეს მარჯვენა ხელი, ვიდრე მას ძალა შესწევს, არ დაადგებს მუშაობას ქართულ მუსიკის ასაღორძინებელად.

ფერეიდანის საქართველო

პარასკევი. მაისის 4, სახელმწიფო პირველ კონსერვატორიის დარბაზი. სპარსეთში მოსახლე ქართველობაზე მოხსენებები წაიკითხეს: ზ. ჭიჭინაძემ და სპარსეთიდან—ფერეიდანიდან ჩამოსულმა ქართველმა სეიფოლ ოსლიანმა. საღამო ფრიად საინტერესო და ზნეშენელოვანი იყო. დამსწრეთა ზენაარშე ერთხელ კიდევ გადაფურცლა ზ. ჭიჭინაძემ ჩვენი ისტორიის ცოდვიანი ტრიალნები, და მით უფრო აღმფოთოვნებელი და თან ათას გვარ ფიქრების აღმძვრელი იყო ქართველ საზოგადოებისათვის მოესმინა სიტყვა იმ ქართველთა ძმისა, რომელიც საუკუნეებმა მოგვწყვიტა თვალთაგან. სეიფოლა ოსლიანის გამოსვლა მხურვალე ტაშის ცემას იწვევს დამსწრე საზოგადოებაში, რომელიც ძველი ქართული ენით, იმ ენით, რომელსაც არ აუცია რუსული აკადემიის სენი, უამბომს დამსწრეთ იმ საშინელ სურათებს, რომელიც განიცადა ქართველობამ სპარსეთში შაჰპაზის მიერ ტყვედ წაყვანილმა. ჩვენ მამაპაპათ, ამბობს ოსლიანისი, იდუმალი ცნება დასტოვეს, რომელიც გადმოდიოდა შთამომავლობაზე—დადგება დრო საქართველო გაიმარჯვებსო. ეს ანდერძი იყო ჩვენი მაცოცხლებელი, ჩვენი ეროვნული სიამაყის აღმზრდელი და აი სამი ოთხი წლის წინად ჩვენ ფერეიდანში მივიღეთ ცნობა საქართველომ გაიმარჯვა, საქართველოს დროშა ფრიალებს ჩვენს სამშობლოში და მას შემდეგ „ჩონი გული აღარ ჩერდების იქ სპარსეთში, ჩონ გვინდა დავიპიროთ ხელში საქართველოს დროშა, გადმოვლახოთ სპარსეთის საზღვრები და დუბრუნდეთ ჩონ კერასო“. იგი მოითხოვს დამბრეობას. იქ სადაც ჩვენ დაგვასახლეს, სპარსელები იმ ადგილებს საქართველოს უწოდებენ, მაგრამ ჩვენ ვიცით სად არის საქართველო და ქართველებს საქართველოსკენ მოგვიხაზიანონ. დაუსრულებელი ტაშის ცემაში იკარგება მისი უკანასკნელი სიტყვები. მოქალაქე ბილანიშვილი აცხადებს საჯაროთ, რომ იგი ნიშნავს ორ სტიპენდიას სპარსელ ქართველთა შვილების აღსაზრდელად ტფილისში, რომ იგი იზრუნებს მათთვის როგორც შვილთათვის და მიაღებინებს საშუალო განათლებას.

შემოდის წინადადება დარბაზშივე გაიმართოს ხელის მოწერა სპარსეთში დადასეფლილ ქართველთა დასახმარებლად, აგრედვე პ. იაშვილის წინადადებით დამსწრე საზოგადოება აარსებს სპარსელ ქართველთა დამხმარე კულტურულ კომიტეტს და საორგანიზაციო კომიტეტში ირჩევენ: ჯაფე საყვარელიძეს, იასონ ლორთქიფანიძეს, ვასილ გაბაშვილს, მ. ლაღიძეს და ზ. ჭიჭინაძეს.

ქართული დრამა

რუსთაველის თეატრი.

„მადამ სან-ჟენ“.

ნ. დავითაშვილის ბენეფისი.

3 მაის გაიმართა ნიჭიერ მსახიობის ნინო თავითაშვილის ბენეფისი. დასდგეს სარდუს „მადამ სან-ჟენ“. მობენეფისე ასრულებდა კატრინის მადამ სან-ჟენის როლს. ქარგა ხანია ჩვენ თეატრიდან ისე კმაყოფილი არ გამოსულვართ, როგორც 3 მაის. ამ დღეს ძლიეს ენახეთ ნინო დავითაშვილი თავის როლში. შეიძლება თქვეს, რომ ნინო დავითაშვილი აღარ გამოსულა ასეთ პასუხსაგებ როლში ექვსი შვიდი წელიწადი მაინც. ქართულ თეატრის ბედის უკუღმართობამ ამ ნიჭიერ მსახიობის გამოსვლა თვის მშვენიერ რეპერტუარში მოგვანატრა. ამ დღეს კი ძლიეს ენახეთ და გაეიხსენეთ ნინო დავითაშვილის სკენიური შემოქმედება. ბევრ მაყურებელში იბადებოდა კითხვა: რატომ ხშირად არ გამოდის ამგვარ როლებში ეს მსახიობაო.

ჩვენში არ არსებობს თეატრალური გაგება და დაფასება. ვერ იქნა და ვერ შევიმუშავეთ რეპერტუარი. ეს კი აუცილებელია, რადგან ეროვნულ თეატრათ დღეს ქართულ თეატრს გარეშე იძულებულნი არიან იდგნენ ბევრი ნიჭიერი მსახიობნი. ასე გარეშე დღემდის იდგა ნინო დავითაშვილიც. რომელიც თავის ბენეფისზე გაბრწყინდა ჩვენს წინაშე.

გადაჭრით ვამბობთ, რომ ქართულ სკენაზე მადამ სან-ჟენის საუკეთესო აღმსრულებლად უნდა ჩაითვალოს ნინო დავითაშვილი. უკეთესი მიზეეა ქართულ სკენაზე ამ როლში ჯერ არ ყოფილა. ამ საღამოს ნინო დავითაშვილმა მოგვაგონა ბევრი რამ კარგი წარსულიდან. სიმკვირცხლე, სითამამე, სკენაზედ თავისუფლად თავის დაჭერა და ნამდვილი თეატრალობა. ნინო დავითაშვილის მადამ სან-ჟენი გადაბული ნამდვილ არტისტიულ ინსტიქტით. მდიდარი ინტონაცია, სიტყვის ბგერა—მტკაცდ შეეფერებოდა კატრინის განსახიერებას. მეორე და მესამე მოქმედებებში დავითაშვილმა ჩინა დიდი ესტეტიური აღლო. იყო ზტრიხება პირდაპირ შესანიშნავი. ნაპოლეონთან შეხვედრა და პრინცესების დახვედრა, შემდეგ ცეკვის გაკვეთილი სკენიურ შედეგრად უნდა ჩაითვალოს. ეკსტიკულიაცია ნაპოლეონთან ლაპარაკის დროს ბუნებრივი და ლამაზი.

საერთოდ წარმოდგენამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. მობენეფისეს ბევი ოვაციებით შეხვდენ. მიართვეს აუარებელი საჩუქრები და ყვავილები.

3. ბ.

ქართველი სტუდენტობა გერმანიაში

ქართველ საზოგადოების და ქართველ სტუდენტობის საყურადღებოდ *).

გერმანიაში მყოფ ქართველ სტუდენტთა კავშირი საჭიროდ სთვლის ქართველ საზოგადოების და ქართველ სტუდენტობის საყურადღებოდ შემდეგი ცნობები გამოაქვეყნოს: ყველასათვის ცნობილია, რომ სამი წლის წინეთ ევროპაში მოსწავლე ქართველ ახალგაზდობის რიცხვი მეტად მცირე იყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ევროპაში, განსაკუთრებით კი გერმანიაში, პირველად ჩამოვიდა სტუდენტების მოზრდილი ჯგუფი, უცხოეთში სწავლა-განათლების მიღების მსურველთა რაოდენობა თანდათან იზრდება და ამ ხნის განმავლობაში საქართველოდან ჩამოსულ სტუდენტთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს, რაც, რა თქმა უნდა, ფრიად სასიხარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ერთი ნაწილი ამ სტუდენტებისა თავიდანვე უზრუნველყოფილი იყო და თავის საკუთარ ხარჯზე სწავლობდა, მაგრამ დიდი უმრავლესობა კი საკუთარ სახსარს მოკლებული იყო და გარეშე დახმარებას საჭიროებდა. დღემდის არსებობდა საშალება ამ უკანასკნელი ეს დახმარება აღმოსჩენოდა. უმთავრესი წყარო ამ დახმარებისა იყო ეგრედ წოდებული „ქრისტიანან-სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის ეროვნის განყოფილება“ (Europäische Studentenhilfe des Christlicheu Studenteu Weltbundes), რომელიც ხხოოოდ სემესტრის დროს იძლეოდა განსაზღვრულ დახმარებას. მაგრამ ეს დახმარება ისე მცირე იყო, რომ სტუდენტისთვის აუცილებელი იყო კიდევ სხვა საარსებო საშუალებათა გამოძებნა. აქ აღსანიშნავია კერძო შეძლებულ პირთა დახმარება და შემოწირულება, რომელსაც არა სისტემატიური ხასიათი ჰქონდა. მაგრამ დღეს კი, საშუნაროოდ, მეტად ცუდი მდგომარეობა შეიქნა: ამ კერძო პირებმა სრულებით შესწყვიტეს

*) რედაქციამ მიიღო გერმანიაში მყოფ ქართველ სტუდენტთა კავშირის გამგეობის წერილი, რომელსაც ვბეჭდავთ უცვლელად.

რედ.

ყოველგვარი დახმარება, მეორეს მხრით ქრისტიან-სტუდენტთა კავშირიც ამ ჟამად დახმარებას არ იძლევა, და აგრეთვე ნაკლები იმედია, რომ მომავალ ერთ სემესტრიდან სტუდენტთა ამ ორგანიზაციიდან რამე დახმარებას მიიღებს. ამ შემთხვევაშიც კი, რომ ეს დახმარება სტუდენტობამ მიიღოს, მდგმარეობა მაინც კრიტიკული რჩება, ვინაიდან აღნიშნული დახმარება საარსებო მინიმუმის დაახლოვებით ერთ მეოთხედს უდრის. გერმანია ფიქრს ეკონომიურ კრიზისს განიცდის, უმუშაობა ყოველ დღე იზრდება და რაიმე სამუშაოს შოვნა, განსაკუთრებით კი უცხოელისათვის, ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ ზოგიერთი სტუდენტი იძულებული აქიდან უცხოეთში წავიდეს, მეცადინეობა მიატოვოს და იქ უბრალო მუშათ დადგეს, რომ მიშმილობა თავიდან აიცილოს. ასეთ პირობებში, ცხადია, სტუდენტი არჩევდა სახლში დაბრუნებას, თუმცა ბევრს მათგანს რამდენიმე (2—3 სემ.) სემესტრი-და უკლია სწავლის დასასრულებს, მაგრამ გზის ფულის შოვნის საშალებაც არ არის. ასეთი მდგომარეობის წყალობით ბევრი სტუდენტი დაავადმყოფდა და სტუდენტთა კავშრის კი არაფერი მოეპოვება, რომ გაჭირვებაში მყოფ სტუდენტებს რაიმე დახმარება აღმოუჩინოს. ამნაირად სტუდენტობა დღეს სრულიად უსახსროდ არის დარჩენილი და მდგომარეობა მართლაც კრიტიკულია. მოუხედავად ამისა, ჩვენ მაინც არ ვკარგავთ იმედს და განვაგრძობთ მუშაობას, მაგრამ ეს ყოველივე ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნდა აღგვენიშნა, როგორც ამ მყოფ სტუდენტთა მშობლების და ნათესავების საყურადღებოდ, აგრეთვე იმ სტუდენტების, რომელნიც აქეთ წამოსვლას დაიპირებენ.

გერმანიაში მყოფ ქართ. სტუდ. კავშირის გამგეობის თავმჯდომარე:

ირაკლი ურუშაძე.

მდივანი **მირონ წულიასკირი.**

ბერლინი, 21 აპრილი 1923 წ.

ქ რ ო ნ ი კ ა

უ ცხ ო ე თ ი

ჰერგარდ ჰაუპტმანი.

ლონდონის გაზეთების ცნობით ჰერგარდ ჰაუპტმანი მიწვეულია არის ლონდონში ინგლისელ მწერალთა კლუბის მიერ ამ ორგანიზაციის სტუმრათ; ჰაუპტმანი ლონდონში წაიკითხავს მოხსენებათა სერიებს.

გერმანიის სამხატვრო სიმდიდრეთა გაგანა უცხოეთში.

უკანასკნელ ხანებში გერმანიის პრესა ნაღვარასა სცემს გერმანიის სამხატვრო სიმდიდრეთა გაყიდვის გამო, რომელიც გამოწვეულია უცხოეთის ეალიუტის მაღალი კურსით. მიუხედავათ მთავრობის მრავალგვარ აკრძალვისა და სხვადასხვა ორგანიზაციების პროტესტებისა, გაექცა არა მარტო ცალკე ნაწარმოებნი გერმანიის უშეანანშნაველ მხატვრებისა და მაქანდაკებლის, არამედ მთელი, მეტად ძვირფასი კოლექციებიც კი, რომელიც მეცენატებს ეკუთვნის. უნდა ვიფიქროთ, რომ სანამ დოლლარის კურსი მაღალ იქნება, საქმე პროტესტების იქით ვერ წავა და გერმანიის ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებნი და აგრეთვე უცხოელ მხატვრების საუკეთესო სურათები, რომლებიც გერმანიაშია შეკრებილი, - დოლლარების, გულდენების და გირვანქების სამაგიეროოდ გაიხიდებინან ამერიკასა, ინგლისსა და ჰოლლანდიაში. უმთავრესად ამ ქვეყნებში სწარმოებს ყანონიერი თუ უკანონო ექსპორტი გერმანიის სამხატვრო სიმდიდრეთა.

მაქსიმ გორკის ახალი პიესა.

მაქსიმ გორკიმ დაამთავრა ახალი პიესა „ასტრალური სინამდვილე“, რომელიც რუს ემიგრანტთა ცხოვრებიდან არის დაწერილი.

ნობელის პრემია 1923 წელს.

როგორც პარიზიდან იტყობინებიან წელს ნობელის პრემია ალბათ რუსეთს მიენიჭება. ყველაზე მეტი ეგებისობის ლაურეატები, რუსეთის ლიტერატურის წარმომადგენლის სახით, საფარნაგეთის გავლენინი წევრები მაქსიმ გორკის ასახელებენ. ანატოლ ფრანსს, რომენ როლლანს და სხვებსაც ჰკონიათ, რო მსწორეთ გორკი— თავის შემოქმედებასა და პირად ცხოვრებაში, ყველაზე უფრო ნათლათ გამოხატავს რუსეთს და მის უსაზღვრო, უკიდურეს ცოცხალ სულს..

ტრაღიკული შემთხვევა წარმოდგენის დროს.

ვენაში, „ვილჰელმ ტელის“ უკანასკნელი წარმოდგენის დროს შემდეგ ტრაღიკულ შემთხვევას ქონდა ადგილი: ტელის როლის შემსრულებელმა არტისტმა, ცნობილი სკენის — ვაშლის დამიზნების დროს ვაისროოა რეგოლვერი, რომელშეც ნამდვილი ტყვია აღმოჩნდა და ზუბლში მოხვედრით მოჰკლა ტელლის შვილის როლის შემსრულებელი მსახიობი ქალი, ამ შემთხვევის ტრაგიზმი იმ ვარემოებით უფრო ძლიერდება, რომ ეს მსახიობი ქალი იყო მეუღლე იმ მსახიობისა, რომელიც ტელლის როლს ასრულებდა.

სარედაქციო კოლეგია.

ს. მ. ს. უ. ს. პოლიგრაფიული განყოფ. 1-ლი სტამბ., პლეხანოვის ქ. № 91. ნებადართულია ლიტერატურის და გამომცემლობის მთავ. მართველობის მიერ № 269. ტირაჟი 1400